



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების N072/16 მიმოხილვა ¹

1. ფაქტები:

ადვოკატი ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე იცავდა კლიენტის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე. მას საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე და აუცილებლობის შემთხვევაში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოშიც. ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეებს არ გადასცა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი და სხდომის ოქმი საკუთარი მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით (ადვოკატს სააპელაციო სამართალწარმოების დროს პროცესზე გამოუცხადებლობის გამო დაეკისრა ჯარიმა 300 ლარის ოდენობით, რის გადახდასაც იგი ითხოვდა კლიენტის მშობლებისაგან). ადვოკატმა არ მისცა მათ საშუალება, რომ დროული ინფორმირებისა და დოკუმენტების გადაცემის შედეგად, მიემართათ სხვა ადვოკატისათვის საკასაციო საჩივრის შეტანის მიზნით, რასაც რეალურად მოჰყვა საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის გაშვება და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა.

2. პროცესუალური ისტორია:

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართეს კლიენტის მშობლებმა და მოითხოვეს ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაძლო დარღვევებზე.

3. სამართლებრივი შეფასება:

კომისიის შეფასებით ადვოკატის მიერ კლიენტისა და მისი მშობლებისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობით დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები. ეთიკის კომისიის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს როგორც თავად კლიენტი, ისე კლიენტთან ურთიერთობაში უფლებამოსილი პირი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად „ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით - მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ გარკვეული ვალდებულებები, რომელიც ადვოკატს ადვოკატთა პროფესიული ეთიკური სტანდარტებიდან გამომდინარე გააჩნია კლიენტის მიმართ, ისეთი როგორცაა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ვრცელდება საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარის მიმართაც, რომელიც წარმოადგენს კლიენტის ნდობით აღჭურვილ პირს და რომლისთვისაც ინფორმაციის მიწოდებაზე კლიენტი თანახმაა. მოცემულ შემთხვევაში საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენენ კლიენტის მშობლები, შესაბამისად ადვოკატს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მათ მიმართაც გააჩნდა. ამავდროულად, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მოიცავს არა მხოლოდ ცნობების მიწოდებას საქმის თაობაზე, არამედ საქმესთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტაციის მიწოდების ვალდებულებასაც. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გირავნობის უფლება

1 <https://www.gba.ge/pdf/5c4722373507e.pdf/5c4722373507e.pdf>



შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ ადვოკატის მიერ შექმნილ დოკუმენტებზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის შესაბამისად, ესეც იმ პირობით, რომ დოკუმენტების დაკავებით კლიენტს არ მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი და გირავნობის უფლების გამოყენებაზე კლიენტისგან მიღებულია წინასწარი წერილობითი თანხმობა ამავე კოდექსის 713-ე მუხლის შესაბამისად, თუ ურთიერთობა რეგულირდება დავალების წესით. მოცემულ შემთხვევაში კი ადვოკატმა საკუთარი მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულების მხარეს არ გადასცა არა მის მიერ შექმნილი დოკუმენტაცია, არამედ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი და სხდომის ოქმი, რაც წინააღმდეგობაში მოდის ზემოთ აღნიშნულ ნორმებთან.

ეთიკის კომისიის შეფასებით, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის გასვლამდე ადვოკატის მიერ კლიენტთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყვეტით და მისთვის ამის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობით დარღვეულია კლიენტის უწყვეტი დაცვის პრინციპი. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე, მაგრამ დაცული უნდა იყოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითა და სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხელშეკრულებიდან გასვლის პირობები. ამავდროულად, ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება უნდა იყოს უპირობო, ნათელი და დროული, რომ არ დაირღვეს უწყვეტი დაცვის პრინციპი ან კლიენტს არ დარჩეს იმედი, რომ ადვოკატი გააგრძელებს მის მომსახურებას და არ არის სხვა ადვოკატის აყვანის აუცილებლობა. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა კლიენტს და საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს მიაწოდა ინფორმაცია თუ რა შემთხვევაში აღარ გააგრძელებდა კლიენტის ინტერესების დაცვას, მაგრამ ადვოკატმა საბოლოოდ არ აცნობა მათ საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შესახებ. ეთიკის კომისია ადვოკატის კომუნიკაციას აფასებს, როგორც კლიენტისთვის დამატებითი ვადის მიცემას დაცვის შეწყვეტამდე და არა მის ინფორმირებას მომსახურების შეწყვეტის თაობაზე. ამან საბოლოოდ კი მოჰყვა საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის გაშვება და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა.

4. დასკვნა:

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ დაირღვა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.